



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080154703620019

№ 3200

26 / ივლისი / 2019 წ.

შპს „ჰერიოს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: SPA180002508;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ჰერიოს“ (ს/ნ: 404892050);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 ივლისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 12 ივლისის № 02/10362 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 7609), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ (ს/ნ: 205340503) მიერ SPA180002508 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 აპრილის №06/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემებით დგინდება, რომ ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ (ს/ნ: 205340503) მონაწილეები არიან შპს „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 405203471) და შპს „ჰერიოს“ (ს/ნ: 404892050).

სააგენტომ შპს „ჰერიოს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის karumidzesoso@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 12 ივლისის № 2765 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 ივლისის № 3181 განკარგულებით ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) SPA180002508 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 აპრილის № 06/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8¹ პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 ივლისის № 3181 განკარგულებით ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) SPA180002508 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 აპრილის № 06/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში. შესაბამისად, შპს „ჰერიო“ (ს/ნ: 404892050), როგორც ბემოალნიშნული ამხანაგობის წევრი, უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8¹ პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ჰერიო“ (ს/ნ: 404892050) 2019 წლის 26 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე